

# მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2020

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# მედიის ფინანსური გამჭვირვალობა
# 2020

**ავტორი:**
**მარიამ პატარიძე, ანი ქისტაური**

**რედაქტორი:**
**თამარ კინწურაშვილი**

**დიზაინი:**
**მარიამ ცუცქირიძე**

**მედიის ფინანსური გამჭვირვალობა, 2020**

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MEDIAMETER.GE

## შესავალი

წინამდებარე კვლევა მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ 2020 წლის მონაცემებს ასახავს. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ახდენს საბიუჯეტო დაფინანსება გავლენას მედიის სარედაქციო პოლიტიკაზე, ან როგორი სარედაქციო პოლიტიკის მედიებთან ფორმდება კონტრაქტები, მასში მედია გაშუქების ცალკეული მაგალითებიც არის განხილული. ანგარიში, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი ყოველწლიურად გამოსცემს, ერთი მხრივ, სამაუწყებლო მედიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დეკლარირებულ შემოსავლებს შეეხება, მეორე მხრივ, ინფორმაციისა და რეკლამის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო სახსრების განაწილების პრაქტიკას.

ანგარიშის შესავალში მიმოხილულია კვლევის მთავარი მიგნებები და რეგულაციები; პირველ ნაწილში - მაუწყებელთა ფინანსური შემოსავლები, რომელთა დეკლარირება მაუწყებლებს კანონმდებლობის საფუძველზე ევალებათ; მე-2 ნაწილი რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებებში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკას ასახავს. ცალკე თავი ეთმობა სოციალურ მედიაში საბიუჯეტო თანხების ხარჯვას, მათ შორის კონტრაქტებს, რომლითაც ცალკეულ მედიებს სხვადასხვა ფეისბუკ ჯგუფებსა და გვერდებზე მასალების განთავსება ევალებათ.  ბოლო ნაწილი კი ანტიდასავლურ, დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის გამავრცელებელ მედიებთან საბიუჯეტო კონტრაქტების გაფორმების პრაქტიკას ეთმობა, მათ შორის განხილულია ანტივაქსერული შინაარსის ცალკეული მაგალითები.

## მეთოდოლოგია

ანგარიში შერეულ მეთოდოლოგიას იყენებს: დოკუმენტების ანალიზს და სპეციფიკურ შემთხვევებში კონტენტ ანალიზს.

*დოკუმენტების ანალიზი* სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის გარდა, დამატებით საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვნილ მონაცემებს და ღია წყაროებით გავრცელებულ სხვა ცნობებს ეყრდნობა.

,,მაუწყებლობის შესახებ" კანონის 70/4 მუხლის მიხედვით, მაუწყებელი ვალდებულია, ყოველი კვარტლის დასრულების შემდეგ მომდევნო თვის 15 რიცხვამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რაც მაუწყებლის ყოველკვარტალურ ფინანსურ შემოსავლებს ასახავს. კომისიამ კი ანგარიშგების ფორმები მიღებიდან 7 დღეში უნდა გამოაქვეყნოს.

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას შემოსავლების შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების კომისიისათვის წარდგენა მხოლოდ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით[1] დაევალათ. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების წარდგენის ვალდებულება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ პირებს, აგრეთვე მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელ პირებს ჰქონდათ.

,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი 2018 წლის 21 თებერვლის ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%-ია. შესაბამისად, ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტების ზრდასთან ერთად იზრდება. ამავე საკანონმდებლო ცვლილებებით, პარლამენტმა მხარი დაუჭირა მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებს (მუხლი 64), რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს კომერციული რეკლამის დამატებით განთავსების უფლებას აძლევს[2].

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამაუწყებლო მედიის დეკლარირებული შემოსავლების ყველა კატეგორიას, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საბიუჯეტო შემოსავალს. გარდა ამისა, სამაუწყებლო შემოსავლები მოიცავს სარეკლამო, სპონსორობიდან, მაუწყებლის მფლობელისა და სხვა პირების შემოწირულობიდან, კონტენტის რეალიზებიდან, საეთერო დროის გაყიდვიდან, ტელეშოფინგიდან, ტექნიკური მომსახურებიდან, პროდუქტის განთავსებიდან (Product Placement), განცხადებებიდან, არქივის გაქირავებიდან, ვებ-ბანერით, ინტერაქტივით, სახელმწიფო დაფინანსებიდან და სხვა სახით მიღებულ შემოსავლებს.[3]

*კონტენტ ანალიზი.* შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ანგარიშში ცალკეულ შემთხვევებში მედიის შინაარსობრივი ანალიზიც არის მოცემული. შერჩევა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მედია საშუალებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა და მიზნად ისახავდა გაერკვია, თუ რა სახის მედია შინაარსის დაფინანსება ხდებოდა ბიუჯეტის ხარჯზე.

---

[1] https://www.comcom.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2016-95-19.page
[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3966451?publication=0#DOCUMENT:1;
[3] https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2019-237-19.page

# სარჩევი

მთავარი მიგნებები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

I. სამაუწყებლო მედიის დეკლარირებული შემოსავლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

II. რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15

2.1. ონლაინ მედია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16

2.2. მაუწყებლები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 18

2.3. ბეჭდური მედია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20

2.4. სოციალური მედია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22

2.5.საბიუჯეტო თანხები სააგენტოებისთვის ფეისბუქ გვერდებსა და ჯგუფებში ინფორმაციის გასავრცელებლად . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 23

2.6. საბიუჯეტო კონტრაქტები ანტიდასავლურ, დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის გამავრცელებელ მედიებთან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 38

## მთავარი მიგნებები

2020 წელს შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სატელევიზიო მაუწყებლების დეკლარირებულმა შემოსავალმა 176.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემებს 37.9 მლნ ლარით აღემატება.
- შემოსავლების ზრდა ტვ “რუსთავის 2”-ის მფლობელის შეცვლის შემდეგ, ამ კომპანიის ყოფილი თანამშრომლებისა და მენეჯერების მიერ 2019 წელს ოპოზიციასთან დაკავშირებული 2 ახალი ტელეკომპანიის “მთავარი არხისა” და ,,ფორმულას” დაფუძნებას უკავშირდება, ასევე საპატრიარქოს ტელეკომპანია “ერთსულოვნების” შემოწირულობების ზრდას.
- საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია "ერთსულოვნების" დეკლარირებული შემოსავალი 2019 წელთან შედარებით 2020 წელს 97%-ით მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობების ხარჯზე გაიზარდა.
- 2020 წლის მონაცემებით, სატელევიზიო ბაზრის ყველაზე დიდი წილი (36.5%) კვლავ საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოდის, კერძო ტელევიზიებიდან კი ყველაზე დიდი წილი სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის ტელეკომპანია “იმედსა” (17.9%) და 2019 წელს დაფუძნებულ,ოპოზიციურ პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ტელეკომპანია ,,მთავარ არხზე” (14,2%) მოდის.
- კრემლისტურ პარტია “პატრიოტთა ალიანსთან” დაკავშირებული ტვ “ობიექტივის” შემოსავლის მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, 2020 წელსაც მფლობელის და არაიდენტიფიცრებული პირის შემოწირულობებია, რაც მთლიანი შემოსავლის 93.3%-ს შეადგენს.
- რეგიონული ტელევიზიების საერთო შემოსავალმა 2020 წელს 13 912 444 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შემოსავალს 3.6 მლნ ლარით აღემატება.
- 2020 წელს რადიოების შემოსავალმა 2019 წელთან შედარებით 2.1 მლნ ლარით იკლო.
- 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით მედია საშუალებებთან 5 259 287.7 ლარის ღირებულების მომსახურების კონტრაქტი გააფორმეს, საიდანაც ყველაზე დიდი წილი - 34% ონლაინ მედიაზე მოდის; 28.1 % - ნაციონალური და შერეული დაფარვის, ხოლო 15.3 % - რეგიონულ ტელევიზიებზე; 14.7 % - სოციალურ მედიაზე; 4.3 % - ბეჭდურ მედიაზე ; 2.3 % - შერეულ კონტრაქტებზე; 1.3 % კი რადიოებზე გადანაწილდა.
- 2019 წელთან შედარებით 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებს 1 322 015.3 ლარით ნაკლები ღირებულების სერვის კონტრაქტი აქვთ გაფორმებული. ამასთანავე, მხოლოდ ონლაინ მედიის კონტრაქტებია გაზრდილი, სხვა მედიებისთვის განკუთვნილი სერვის კონტრაქტების თანხა კი შემცირებულია.
- ონლაინ მედიებიდან საბიუჯეტო სერვის კონტრაქტების ყველაზე დიდი წილი “პალიტრა მედია” ჰოლდინგში შემავალ ონლაინ გამოცემებზე განაწილდა; შემდეგ ადგილზე არიან Kvira.ge, Ipress.ge და მათთან დაკავშირებული ონლაინ პლატფორმები; Primetime.ge; PIA და Daijesti.ge; Newspress.ge და NSP.ge; Imedinews.ge; Reportiori.ge და სხვები.
- ტელევიზიებში საბიუჯეტო რეკლამების გადანაწილება კორელაციაში სატელევიზიო რეიტინგებთან, რომელიც ამა თუ იმ არხის მიერ სატელევიზიო ბაზრის მოცვას ასახავს. ტელევიზიებს შორის ყველაზე მეტი ღირებულების ხელშეკრულება “იმედთან” გაფორმდა, მას მოსდევს რუსთავი 2, მთავარი არხი და ტვ პირველი.

- რეგიონულ მაუწყებლებს შორის ყველაზე დიდი საბიუჯეტო თანხა, 2016-2019 წლების მსგავსად, კვლავ ქვემო ქართლის ტელევიზიას აქვს მიღებული, რაც მთლიანი შემოსავლის 65%-ს შეადგენს.
- სოციალურ მედიაში ყველაზე მეტი ღირებულების რეკლამის განთავსება კონტრაქტებით საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ჰქონდა განსაზღვრული; შემდეგ ადგილზეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- 2019 წლის მსგავსად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საინფორმაციო მომსახურების გავრცელებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები მასალების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსების გარდა, ინფორმაციის სხვა ფეისბუქ ჯგუფებსა და გვერდებზე გაზიარების ვალდებულებასაც ითვალისწინებდა.
- გამოვლინდა სააგენტო PIA-სთან დაკავშირებული 1 სარეკლამო სააგენტო და 3 ონლაინ მედია, რომელსაც საბიუჯეტო ორგანიზაციების მედია შინაარსის სხვადასხვა ფეისბუკ ჯგუფებში გაზიარების ვალდებულება ჰქონდა.
- ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრსა და STV.ge-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გამოცემას ინფორმაციის მმართველი პარტია **"ქართული ოცნების"** თბილისის მერის **მხარდამჭერ ფეისბუკ ჯგუფში**, ასევე 2 დახურული ჯგუფში ევალებოდა. 2 დახურული ჯგუფიდან კი ერთი (ეს საქართველოა) პარტია **"პატრიოტთა ალიანსის" მხარდამჭერი** და ოპოზიციური პარტია **"ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ** მიმართული აღმოჩნდა, სადაც პოსტებს სახელისუფლებო ექსპერტებიც ათავსებენ.
- შპს კლიპ არტსა და კომისიას შორის 99 500 ლარის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება, ინფორმაციის 9 საინფორმაციო სააგენტოსა და 5 ფეისბუკ ჯგუფში განთავსებას ითვალისწინებდა, ყველა ამ ფეისბუკ ჯგუფს კი თავად "კლიპ-არტი" ფლობდა.
- როგორც სამეგრელოს მედია ორგანიზაცია (STV.ge), ასევე კლიპ-არტთან დაკავშირებული ონლაინ სააგენტოები (diagestpia და pia) მმართველი პარტიის ოპონენტების მადისკრედიტირებელ მასალებს კოორდინირებულად ავრცელებდნენ.
- 2014-2019 წლების პრაქტიკის მსგავსად, 2020 წელსაც გამოიკვეთა რამდენიმე მედია საშუალება, რომელთა ნაწილი ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკით, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის ტირაჟირებით გამოირჩევა და რომელთანაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს ინფორმაციის გავრცელებასა და რეკლამაზე სერვის კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული.
- ანტიდასავლურ და ჰომოფობიურ გზავნილებთან ერთად, გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", რომელსაც ბიუჯეტიდან 2020 წელს 38 008 ლარის ღირებულების სერვის კონტრაქტი გაუფორმდა, დამატებით კორონავირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით კონსპირაციებს და დეზინფორმაციას ავრცელებდა.

## I. სამაუწყებლო მედიის დეკლარირებული შემოსავლები

ტელევიზია. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემების მიხედვით[4] , 2020 წელს სატელევიზიო მაუწყებლების შემოსავალმა 176.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემებს (139 მლნ ლარი) 37.9 მლნ ლარით აღემატება. შემოსავლების ზრდა ტვ "რუსთავის 2"-ის მფლობელის შეცვლის შემდეგ, ამ კომპანიის ყოფილი თანამშრომლებისა და მენეჯერების მიერ 2019 წელს ოპოზიციასთან დაკავშირებული 2 ახალი ტელეკომპანიის "მთავარი არხისა" და ,,ფორმულას" დაფუძნებას უკავშირდება, ასევე საპატრიარქოს ტელეკომპანია "ერთსულოვნების" შემოწირულობების ზრდას.

2020 წლის მონაცემებით, სატელევიზიო ბაზრის ყველაზე დიდი წილი კვლავ საზოგადოებრივ მაუწყებელზე (59.5 მლნ ლარი) მოდის, რაც წინა წლის მაჩვენებელს (51 მლნ) 8.5 მლნ ლარით აღემატება[5].

კერძო ტელევიზიებიდან კი ყველაზე დიდი წილი სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის ტელეკომპანია "იმედსა" (29.1 მლნ) და 2019 წელს დაფუძნებულ, ოპოზიციურ პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ტელეკომპანია ,,მთავარ არხზე" (23.1 მლნ ლარი) მოდის, რომელიც ,,რუსთავი 2-ის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ (51 %) სხვა მფლობელებთან ერთად დააფუძნა[6]. ტელეკომპანია ,,მთავარი არხის" შემოსავალი 2020 წელს 17.4 მლნ ლარით არის გაზრდილი, შემოსავალის ძირითად წყაროს- 49.7 % კი მაუწყებლების მფლობელების შემოწირულობები (11 520 024 ლარი) წარმოადგენდა. ტელეკომპანია "იმედის" შემოსავალი 2019 წელთან შედარებით 2.4 მლნ ლარით არის გაზრდილი. მედია ბაზარზე შემდეგ პოზიციას რუსთავი 2 (14.2 მლნ ლარი) იკავებს, რომლის შემოსავალი 8.9 მლნ ლარით არის შემცირებული. აღსანიშნავია, რომ რუსთავი 2-ის მფლობელის ცვლილება 2019 წლის 18 ივლისს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა, ამდენად აღნიშნული მონაცემი ახალი მენეჯმენტის პირობებში შექმნილ ფინანსურ მდგომარეობას ასახავს. მომდევნო ადგილს შემოსავლის მხრივ იკავებენ სილქნეტი (10.9 მლნ ლარი[7]), რომლის შემოსავალიც 7.7 მლნ ლარით გაიზარდა და TV პირველი ( 6.4 მლნ ლარი), რომლის შემოსავლები მეტწილად რეკლამის ხარჯზე წინა წელთან შედარებით 2.2 მლნ ლარით გაიზარდა. 2019 წელს დაფუძნებული ტელეკომპანია ფორმულას შემოსავალი, რომლის საკონტროლო პაკეტს (51%)

---

[4] ბოლო წვდომა 22 სექტემბერი, 2021
მაუწყებლობა › ტელევიზიების შემოსავლები კომპანიების მიხედვით › სტატისტიკური ინფორმაცია › analytics.comcom.ge

[5] ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი 2018 წლის 21 თებერვლის ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14%-ია. შესაბამისად, ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტების ზრდასთან ერთად იზრდება.

[6] 2020 წლის 15 სექტემბერს საჯარო რეესტრში განხორციელებული ცვლილებებით, ტელეკომპანიის მფლობელების წილების გადანაწილება შემდეგია: BGIM LTD-39%,ბაკურ ჯახაია-37%, ნიკა გვარამია-12%, ნიკოლოზ სისაური (3%),გიორგი რურუა (2.5%), მარი ანა რურუა(2.5%) და შპს საქართველოს უნივერსიტეტი(2%),თეიმურაზ ვასილიძე-1%, შპს ბენმონტი-BENMONT-0.2%, მაგული ხარებავა-0.2%,ომეგა მოტორ ჯგუფი-0.2%, მატრიქსი-0.2%, შპს მონტე-0.2%
https://bit.ly/3hSSPZ5

[7] აღნიშნული მონაცემი მოიცავს შპს ,,სილქ მედიას" 2020 წლის დეკლარირებულ შემოსავალსაც, რომლის 100% იანი წილის მესაკუთრე სს სილქნეტია;
B21081595 (napr.gov.ge)

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ფლობს, 4.4 მლნ ლარს შეადგენს და წინა წელთან შედარებით 0.8 მლნ ლარით არის შემცირებული. სხვა ტელევიზიების შემოსავლები შემდეგნაირად ნაწილდება: აჭარასპორტ ტვ (2.8 მლნ ლარი), GDS TV (2.7  მლნ ლარი), ობიექტივი (2.2 მლნ ლარი), POS TV (1.6 მლნ ლარი), ერთსულოვნება (1.2 მლნ ლარი) და სეტანტა ჯორჯია (0.7 მლნ ლარი). სხვა ტელევიზიების შემოსავალი, რომელიც 0.7 მლნ ლარს არ აღემატება, ჯამურად 3.4 მლნ ლარს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია "ერთსულოვნების" შემოსავალი 2019 წელთან შედარებით (27 183 ლარი) 2020 წელს 97%-ით  მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობების ხარჯზე გაიზარდა და 2020 წელს 1 214 305 ლარი შეადგინა. მაუწყებლის მფლობელის შემოწირულობები ერთიანი შემოსავლის 99.7 %-ს (1 210 800 ლარი) შეადგენს.

გაზრდილია ასევე სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე POS TV [8]-ის შემოსავალი, რომელმაც საერთო მაუწყებლობის ავტორიზაცია 2019 წლის 21 ნოემბერს მიიღო[9]. პოსტ ტვ-ის დეკლარირებულმა შემოსავალმა 2020 წელს **1 680 440 ლარი შეადგინა.**

**დიაგრამა 1.1.** ნაციონალური და შერეული დაფარვის ტელევიზიების 2019 წლის სატელევიზიო შემოსავლები მედიების მიხედვით




---

[8] შპს „პოსტვის“ აღმასრულებელი დირექტორი და 28%-იანი წილის მფლობელი თემურ ქარელაშვილია, შალვა რამიშვილს კომპანიის 24% ეკუთვნის, ნუგზარ რუხაძეს და ზვიად ბლიაძე 16-16%, ანა შენგელია და ვახტანგ კომახიძე კი 8%-8%-იანი წილის მფლობელები არიან.
https://bit.ly/3zqIE48
[9] შპს „პოსტვ“-ის მაუწყებლად ავტორიზაციის განცხადების განხილვის თაობაზე - კომუნიკაციების კომისია (comcom.ge)

ტვ “ობიექტივის” შემოსავლები. კრემლისტურ პარტია “პატრიოტთა ალიანსთან” დაკავშირებული ტვ “ობიექტივის” შემოსავლის მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, 2020 წელსაც შემოწირულობებია, რაც მთლიანი შემოსავლის 93.3%- ს (2 090 739 ლარი) შეადგენს. აქედან 205 336 ლარი მაუწყებლის მფლობელის, ხოლო 1 885 403 ლარი არაიდენტიფიცირებული პირების შემოწირულობებია. ტელეარხზე ხუთწლიანი დაკვირვება აჩვენებს, რომ ის სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული დოტაციაზე, ხოლო დაფინანსების წყაროები გამჭვირვალე არ არის.

დიაგრამა 1.2. მედია-კავშირ “ობიექტივის” 2015-2020 წლების შემოსავლის წყაროები




ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ტელეკომპანიის მთლიანი შემოსავალი გაორმაგებულია (2015: 1 080 873, 2019: 2 241 634).

ცხრილი 1.1. ტვ ობიექტივის შემოსავლები 2015-2020წლებში

| წელი | ობიექტივი |
|---|---|
| 2020 | 2 241 634 |
| 2019 | 2 235 533 |
| 2018 | 1 925 974 |
| 2017 | 1 469 125 |
| 2016 | 1 691 397 |
| 2015 | 1 080 873 |

რეგიონული ტელევიზიები. რეგიონული ტელევიზიების საერთო შემოსავალმა 2020 წელს 13 912 444 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შემოსავალს 3.6 მლნ ლარით აღემატება. ყველაზე დიდი წილი - 72%  კვლავ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოდის (10 026 792 ლარი), ხოლო დარჩენილი მეოთხედი შემდეგნაირად ნაწილდება:

- *ბათუმი*: ტვ 25 (634 191 ლარი) -4.6 %;
- *გორი:* ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი (261 088 ლარი) -1.9 %;
  დია: (26 2663 ლარი)- 1.9%;
- *იმერეთი:* ტელეკომპანია რიონი - (370 757 ლარი)- 2.7%;
  მეგა-ტვ - 176 672- 1.3 %;
- *ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია* - (245 622 ლარი)- 1.8%;
- *მარნეული ტვ* - (227 760 ლარი) - 1,6 %;

- *ზუგდიდი:* ოდიში - (199 666 ლარი)- 1.4 %;
- *გურჯაანი* - (182 710 ლარი) -1.3%;
- *ფოთი:* მეცხრე ტალღა - 133 274 - 1%;
- *ჭიათურა:* ,,იმერვიზია” - 120 638-0.9%;

სხვა რეგიონული ტელევიზიების შემოსავალმა, რომელიც 115 500 ლარს არ აღემატება, ჯამურად 1 070 609 ლარი შეადგინა.

**დიაგრამა 1.3.** რეგიონული ტელევიზიების 2020 წლის სატელევიზიო შემოსავლები მედიების მიხედვით



**რადიომაუწყებლები.** 2020 წელს რადიოების შემოსავალმა 2019 წელთან შედარებით 2.1 მლნ ლარით იკლო და 7 698 906 ლარი შეადგინა. 2019 წელს კი აღნიშნული მონაცემი 9 814 772 ლარი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის შემდეგ რადიოების შემოსავლები კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

**დიაგრამა 1.4. რადიოების შემოსავალი 2015-2020 წლებში**




*წყარო: კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალი*

წინა წლების მსგავსად ბაზარზე კვლავ რადიო ჰოლდინგი "ფორტუნა" დომინირებდა (51%), რომლის შემოსავალმა 3 796 575 ლარი შეადგინა. 2019 წელთან შედარებით კომპანიის შემოსავალმა 1 220 543 ლარით შემცირდა. მისი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს რეკლამა (83.6 %), სპონსორობა (15.7 %) და კონტენტის რეალიზება (0.7 %) წარმოადგენს. შემდეგ ადგილზეა რადიო "იმედი" 730 437 ლარით, რომლის შემთხვევაშიც, წინა წელთან შედარებით შემოსავალი 129 116 ლარით შემცირდა. მესამე ადგილზეა რადიო პალიტრა[10] (390 104 ლარი), რომლის შემოსავალმაც 167 352 ლარით იკლო. მას მოსდევს რადიო მაესტრო[11] ( 308 284 ლარი), რადიო ,,აფხაზეთის ხმა"[12] ( 267 543 ლარი), რადიო კომერსანტი[13] (191 610 ლარი) და რადიო ენერჯი[14] (159 597 ლარი); სხვა რადიოების შემოსავალმა 1 018 447 ლარი შეადგინა.

---

[10] შპს ,,რადიოცენტრი პლუს" (FM 103.9); http://www.radiopalitra.ge/doc/7_15_2020_shesab_dec_radio_n.pdf
[11] შპს ,,ქართული რადიო" jpg->pdf - ilovepdf.com (radiomaestro.ge)
[12] შპს ,,ჯეო მედია" https://registry.comcom.ge/
[13] შპს ,,ჩვენი რადიო" იურიდიული პირი (comcom.ge)
[14] შპს კომპანია ,,მედიასტრიმი" იურიდიული პირი (comcom.ge)

**დიაგრამა 1.5.** ნაციონალური და შერეული დაფარვის რადიოების 2020 წლის შემოსავლები




რეგიონული რადიოები. 2020 წელს რეგიონული რადიოების შემოსავალმა 836 310 ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი წილი 65% - აჭარის საზოგადოებრივ რადიოზე (545 131 ლარი) მოდის; მას მოსდევს: გორის სათემო რადიო მოზაიკა (60 972 ლარი), რომლის შემოსავალიც 54 363 ლარით არის გაზრდილი (2019:6 608 ლარი). შემდეგ პოზიციებს იკავებენ: რადიო ათინათი (57 418 ლარი), რადიო თრიალეთი (39 389 ლარი), ძველი ქალაქი (37 616 ლარი) და რადიო-ტვ ნორ (24 821 ლარი), რომლის შემოსავალიც გაორმაგებულია (2019: 11 430 ლარი); სხვა რეგიონული რადიოების შემოსავალმა 2020 წელს 70 964 ლარი შეადგინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიო მარნეულის შემოსავალი 173 966 ლარით არის შემცირებული (2019: 194 536 ლარი, 2020: 20 570);

**დიაგრამა 1.6.** რეგიონული რადიოების 2020 წლის შემოსავლები მედიების მიხედვით



## II. რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა

ერთიანი მონაცემები: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად, 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა სარეკლამო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით მედია საშუალებებთან 5 259 287.7 ლარის ღირებულების მომსახურების კონტრაქტი გააფორმეს. აღნიშნული თანხის ყველაზე დიდი წილი - 34% (1 788 332 ლარი) ონლაინ მედიაზე მოდის; 28.1 % (1 479 230 ლარი) - ნაციონალური და შერეული დაფარვის, 15.3 % კი ( 802 546) - რეგიონული ტელევიზიებზე; 14.7 % (770 560.6 ლარი) - სოციალურ მედიაზე; 4.3 % (226 974 ლარი) - ბეჭდურ მედიაზე (428 051 ლარი); 2.3 % (122 934.6 ლარი) - შერეულ კონტრაქტებზე; 1.3 % (68 710.6 ლარი) კი რადიოებზე გადანაწილდა. შერეული კონტრაქტები ერთდროულად სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებებს აერთიანებს. ვინაიდან გარკვეული კონტრაქტების საფუძველზე შეუძლებელია იდენტიფიცირება, კონკრეტულად რომელი ტიპის მედიას გადაერიცხა თანხა, ჩვენ ეს მონაცემი ცალკე კატეგორიად “შერეულ კონტრაქტებად” გამოვყავით.

დიაგრამა 2.1. საბიუჯეტო კონტრაქტების გადანაწილება მედია საშუალებების ტიპოლოგიის მიხედვით, 2020




2019 წელთან შედარებით (6 581 303 ლარი) 2020 წელს 1 322 015.3 ლარით ნაკლები ღირებულების სერვის კონტრაქტია გაფორმებული. ამასთანავე, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, მხოლოდ ონლაინ მედიის კონტრაქტებია გაზრდილი, სხვა მედიებისთვის განკუთვნილი სერვის კონტრაქტების თანხა კი შემცირებულია.

ცხრილი 2.1. სერვის კონტრაქტებისთვის საბიუჯეტო ფინანსების გადანაწილების დინამიკა 2019-2020 წლებში

| მედიები | 2020 | 2019 | შედარება |
|---|---|---|---|
| ონლაინ | 1 788 332 ლარი | 1 036 416 ლარი | გაზრდილია 73%-ით |
| ნაციონალური და შერეული დაფარვის ტელევიზიები | 1 479 230 ლარი | 2 038 526 | შემცირებულია 27%-ით |
| რეგიონული ტვ | 802545.89 ლარი | 805 223 ლარი | შემცირებულია 0.3%-ით |
| სოციალური მედია | 770 560.6 ლარი | 805 223 ლარი | შემცირებულია 4%-ით |
| ბეჭდური მედია | 226 974 ლარი | 428 051 ლარი | შემცირებულია 47%-ით |
| შერეული კონტრაქტები | 122 934.6 ლარი | 273 884 ლარი | შემცირებულია 55%-ით |
| რადიოები | 68 710.6 ლარი | 154 580 ლარი | შემცირებულია 56%-ით |

## 2.1. ონლაინ მედია.

შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების თანახმად, ონლაინ მედიაზე ინფორმაციის გავრცელებისა და რეკლამის განთავსების მიზნით, 2020 წელს ყველაზე მეტი თანხა, სულ 1 788 332 ლარი გადანაწილდა. აღნიშნული თანხიდან ყველაზე დიდი წილი (273 251 ლარი) “პალიტრა მედია” ჰოლდინგში შემავალ ონლაინ გამოცემებზე (IPN, PalitraTV.ge, Kvirispalitra.ge, Bpn.ge. Ambebi.ge, Allnews.ge) მოდის; შემდეგ ადგილზეა Kvira.ge და მასთან დაკავშირებული kids.kvira.ge, region.kvira.ge - 127 284 ლარი; Ipress.ge და ის მედიები, რომლებიც Ipress.ge-ის საიტზე პარნტიორებადაა მითითებული და მათთან ძირითადად ერთიანი კონტრაქტებია გაფორმებული (ibusiness.ge; iregions.ge; imtavroba.ge[15]; mpress.ge[16]) – 94 527 ლარი; Primetime.ge- 55 719; PIA და მასთან დაკავშირებული გამოცემა (Daijesti.ge) – 50 410; Newspress.ge და NSP.ge - 50 272 ლარი (აქედან 6 300 region.ge-თან ერთად); Imedinews.ge - 46 330; Reportiori.ge (qartuliazri.ge, cnobisfurceli.ge) -38 501 ლარი; EPN და მასთან დაკავშირებული მედია საშუალებები (Economic.ge; 1news.ge, www.faxinter.news)- 30 326 ლარი; Bm.ge- 28 702 ლარი; GHN- 27 680 ლარი; Accentnews.ge - 24299, MarshapIress.ge- 21 808 ლარი; Netgazeti და Batumelebi-20 350 ლარი; On.ge - 19305; Guardian.ge - 16383; Mcm.ge- 16200; Timer.ge - 15122; Spnews.io; spn.ge - 14550; For.ge - 12160 ლარი. სხვა მედია საშუალებებში კი, რომელთა კონტრაქტების ღირებულება 10 000 ლარზე ნაკლებია, ჯამურად 176 309 ლარია და კატეგორიაში “სხვადასხვა” ერთიანად არის მოცემული. საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაწილი საინფორმაციო სააგენტოებთან შუამავალი კომპანიების საშუალებით თანამშრომლობს, რის გამოც შესყიდვების სამსახურის მონაცემთა ბაზაში სრულფასოვანი ინფორმაციის მოძიება, თუ რომელ მედიას რა ოდენობის თანხა გადაერიცხა, რთულდება. მსგავსი კონტრაქტები ერთიანი ხელშეკრულებების კატეგორიაში მოვახვედრეთ (საერთო ღირებულება -120 046 ლარი); 2020 წელს ასეთი კონტრაქტების 35.5 % შპს აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსმა” (42 568 ლარი), შპს “კლიპ-არტმა” 32.5 % ( 39 066 ლარი), შპს ,,სივრცეებმა” 15.8% (19 000 ლარი) და სხვა კომპანიებმა 16.2 % (19 412) გააფორმეს.

[15] Ipress.ge-სთან დაკავშირებული სააგენტოები
[16] Ipress.ge-ს პარტნიორი სააგენტოები

მედია მონიტორინგისა და საინფორმაციო მომსახურების გაწევაზე კონტრაქტებიც შუამავალი კომპანიის შპს ,,აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსის” საშუალებით გაფორმდა. ამასთან მონიტორინგისა და საინფორმაციო მომსახურების თანხა ხელშეკრულებებში ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის და არც ის არის მითითებული, თუ რომელ მედიებში განხორციელდა ინფორმაციის გავრცელების მომსახურება. შპს ,,აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუსმა” საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან (84 000), საქართველოს პარლამენტის აპარატთან (67 200), ქ.თბილისის საკრებულოს აპარატთან (56 300), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან (54 579), სიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან (62 760), საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან (40 356), სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან (35 989), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (49 800), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან (48 559) და წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან (9 255) სხვადასხვა ღირებულების კონტრაქტები გააფორმეს.

**დიაგრამა 2.2.** **საბიუჯეტო რეკლამის და საინფორმაციო მომსახურების გადანაწილება ონლაინ მედიაში, 2020**




როგორც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევები[17] ცხადყოფს, ონლაინ მედიების ნაწილი პროფესიული სტანდარტების დაცვით ახდენს დაფინანსებული მასალების ვებ-გვერდზე განთავსებას და აუდიტორიის ინფორმირებას, რომ განთავსებული შინაარსი მედია

[17] მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2014-2019 წლები http://mediameter.ge/ge/research?field_research_category_tid=2

პროდუქტს არ წარმოადგენს და დაფინანსებულია დამკვეთის მიერ. მოცემულ კვლევაში შემდეგ თავებში გაანალიზებულია მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც საბიუჯეტო სერვის კონტრაქტები მედია საშუალების სარედაქციო პოლიტიკაზე აისახება და ისინი ან მმართველი პარტიის სასარგებლოდ მისი ოპონენტების დისკრედიტაციის კამპანიაში არიან ჩართული, ან ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ და დისკრედიტაციასთან ერთად დეზინფორმაციის გავრცელების წყაროები არიან.

## 2.2. მაუწყებლები

ტელევიზიები. შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ბაზაში ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად, 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ტელევიზიებთან 2 281 776 ლარის ხელშეკრულებები გააფორმეს. მათი დიდი ნაწილი - 1 479 230 ლარი - ნაციონალური და შერეული დაფარვის ტელევიზიებზე მოდის, 802 546 ლარი კი - რეგიონულ მაუწყებლებზე. ტელევიზიებში საბიუჯეტო რეკლამების გადანაწილება კორელაციაში სატელევიზიო რეიტინგებთან, რომელიც ამა თუ იმ არხის მიერ სატელევიზიო ბაზრის მოცვას ასახავს[18]. ტელევიზიებს შორის ყველაზე მეტი ღირებულების - 702 045 ლარის ხელშეკრულება "იმედთან" გაფორმდა, მას მოსდევს რუსთავი 2 ( 338 428 ლარი), მთავარი არხი ( 164 085 ლარი) და ტვ პირველი (106 692); სხვა ტელევიზიებმა[19] კი, რომელთა შემოსავალი 10 000 ლარზე ნაკლები იყო, ჯამში 17 645 ლარის სარეკლამო მომსახურება მიიღეს.

### დიაგრამა 2.3. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება ნაციონალური და შერეული დაფარვის ტელევიზიებში, 2019-2020




[18] TVMR Georgia http://www.tvmr.ge/ Tri მედია ინტელიჯენსი http://infosyssharp.tmi.ge/

[19] პალიტრა TV, ხარისხის არხი, მიუზიკ-ბოქსი, ტვ 24

2020 წელს, 2019 წელთან შედარებით თანხების შემცირება, საერთო კლების ტენდენციას უკავშირდება, ამასთანავე, მთავარ არხზე 2019 წელთან შედარებით საკონტრაქტო თანხის ოდენობა გაზრდილია, ვინაიდან არხმა მაუწყებლობა 2019 წლის ბოლოს დაიწყო (2020 წელი: 164 085 ლარი; 2019 წელი: 21 703 ლარი).

**რეგიონული ტელევიზიები.** რეგიონულ ტელევიზიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების (ჯამური ღირებულება - 802 546 ლარი) ყველაზე დიდი წილი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და მათ დაქვემდებარებულ უწყებებზე მოდის. რეგიონულ მაუწყებლებს შორის ყველაზე დიდი საბიუჯეტო თანხა, 2016-2019 წლების მსგავსად, კვლავ ქვემო ქართლის ტელევიზიას აქვს მიღებული (160 000 ლარი), რაც მთლიანი შემოსავლის ( 245,622ლარი) 65%-ს შეადგენს. ქვემო ქართლის ტელევიზიას მოსდევენ “მარნეული TV” - 125 860; ტელეკომპანია “რიონი” (82 955), „გურჯაანი“ - 66 600, “იმერვიზია” – 62 085, „ფარვანა“ - 60 200, ,,ზარი”-30 000, “ბორჯომი”- 27 295, „ატვ-12“ –26 471. სხვა ტელევიზიებმა[20] კი, რომელთა შემოსავალი 20 000 ლარზე ნაკლები იყო, ჯამში 67 400 ლარის სარეკლამო მომსახურება მიიღეს. 2020 წელს რეგიონულ ტელევიზიებთან ერთიანი ხელშეკრულებები (ერთდროულად რამდენიმე კომპანია) შემდეგმა შუამავალმა კომპანიებმა გააფორმეს: ააიპ ,,მაუწყებელთა ალიანსი”[21] (64 680), საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია[22](29 000). გაფორმებული კონტრაქტები სხვადასხვა რეგიონულ არხებზე ჯამში 93 679.89 ლარის ღირებულების საინფორმაციო მომსახურებას ითვალისწინებდა.

**დიაგრამა 2.4. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება რეგიონულ ტელევიზიებში, 2020**




[20] “თრიალეთი”, “არგო”, “ეგრისი”, "კოლხეთი 89", “ტვ 25”, “გურია-TV”, “იალონი ტვ”
[21] სსიპ აწარმოე საქართველოში (18 480 ლარი) და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიასთან (46 200 ლარი) დადებული კონტრაქტები
[22] ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დადებული კონტრაქტი (28 999.89ლარი)

რადიოები. რადიომაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 68 710.58 ლარი შეადგინა. ყველაზე მეტი ღირებულების საბიუჯეტო კონტრაქტი რადიო ჰოლდინგ ფორტუნასთან (ფორტუნა, ფორტუნა +, არ დაიდარდო, ავტო რადიო) (39 967.58 ლარი) გაფორმდა, რომელსაც რადიო იმედი (15132) მოსდევს. მომდევნო ადგილებს ინაწილებენ: რადიო მაესტრო - 3 540, კომერსანტი - 2 499, პირველი რადიო - 2499, რადიო ათინათი- 1650, აფხაზეთის ხმა 1179, რადიო ჰერეთი - 1110; სხვა რადიოების საბიუჯეტო კონტრაქტებით მიღებულმა შემოსავალმა, რომელთა ღირებულება 500 ლარს არ აღემატება, 1 144 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 2.5. საბიუჯეტო თანხების გადანაწილება რადიოებში, 2020 წელი




## 2.3. ბეჭდვითი მედია

ბეჭდვით მედიაში ყველაზე მეტი ღირებულების (90 816.43) ხელშეკრულება ,,რეზონანსთან" გაფორმდა. შემდეგ ადგილზეა გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა "(38 008.37) , "ვერსია" (31 113), „FORBES Georgia" (20087.2), "ვრასტანი" (11 139), "მსოფლიო 2000 წელს" (6670), "კვირის პალიტრა"(5 150), "თბილისელები" (4 500), "The Economist" (3 060), Georgian Medical News (3 000), კატეგორიაში "სხვადასხვა" ის გაზეთებია გაერთიანებული, რომელთა კონტრაქტები 3 000 ლარზე ნაკლებია. მათ შორის არიან: ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, ახალი თაობა, ალია, გურჯისტანი, ახალი განათლება, "Where". ერთიანად კი მათმა ჯამმა 9 330 ლარი შეადგინა.

**დიაგრამა 2.6.** საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება გაზეთებში, 2020




რეგიონულ ბეჭდვით მედიაში ყველაზე მეტი თანხის ხელშეკრულება გაფორმდა გაზეთ ,,რუსთავთან” (20 000), რომელსაც მოსდევენ ,,სვანეთი” (15 600), “ლიტერატურული მესხეთი” (14 730) ,,ამბროლაურის მოამბე” (12 995,88), გაზეთი ,,მარტვილი” (11 000), ,,გურია news"-ი (6 280), ,,ალიონი”-(2 370), ,,გურიის მოამბე” - (2 210), გაზეთი “ხულო” (1684), 21-ს ქვევით (1 500), გაზეთი ,,აჭარა და ადჟარია” (1 385), სხვა გაზეთებს (“ლანჩხუთის მოამბე”, “ლანჩხუთი Plus”, “ჩოხატაურის მაცნე”, “გურია თუდეი”, “ახალი საქართველო”) კი, რომელთა შემოსავალიც 1 000 ლარზე ნაკლებია, ჯამში 1 901  ლარის ხელშეკრულებები გაუფორმდათ.

დიაგრამა 2.7. საბიუჯეტო რეკლამის გადანაწილება რეგიონულ გაზეთებში, 2020




## 2.4. სოციალური მედია.

შესყიდვების სამსახურის ელექტრონული მონაცემების მიხედვით, 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებს სოციალურ მედიაში (Facebook) ინფორმაციის გავრცელების მიზნით 738 667 ლარის ღირებულების კონტრაქტი ჰქონდათ გაფორმებული[23]. სოციალურ მედიაში ყველაზე მეტი ღირებულების რეკლამის განთავსება კონტრაქტებით საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას (179 725 ლარი) ჰქონდა განსაზღვრული; შემდეგ ადგილზეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (125 446 ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (114 126), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (99 500), თბილისის მერიის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო (57 793).

[23] აღნიშნული თანხიდან მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს 4 მედია-ს შორის გაფორმებული კონტრაქტი მოიცავდა facebook-სა და Instagram-თან ერთად, ინფორმაციის LinkedIn-ზე განთავსებას (ხელშეკრულების საერთო ღირებულება 20 425 ლარი);

**დიაგრამა 2.8.** ადმინისტრაციული ორგანოების რეკლამის გადანაწილება სოციალურ მედიაში, 2020




## 2.5. საბიუჯეტო თანხები სააგენტოებისთვის ფეისბუკ გვერდებსა და ჯგუფებში ინფორმაციის გასავრცელებლად

2020 წლის საბიუჯეტო კონტრაქტების მონაცემების ანალიზისას, 2019 წლის მსგავსად, შემდეგი ტენდენცია გამოვლინდა: ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საინფორმაციო მომსახურების გავრცელებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები მასალების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსების გარდა, ინფორმაციის სხვა ფეისბუქ ჯგუფებსა და გვერდებზე გაზიარების ვალდებულებასაც ითვალისწინებდა. გამოვლინდა სააგენტო PIA-სთან დაკავშირებული 1 სარეკლამო სააგენტო და 3 ონლაინ მედია, რომელსაც საბიუჯეტო ორგანიზაციების მედია შინაარსის სხვადასხვა ფეისბუკ ჯგუფებში გაზიარების ვალდებულება ჰქონდა.

2020 წელს აღნიშნული ტიპის ყველაზე დიდი ღირებულების კონტრაქტი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ შუამავალი ორგანიზაცია შპს ,,კლიპ-არტის" მეშვეობით გააფორმა (კონტრაქტის ღირებულება 99 500 ლარი). საქართველოს შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე  განთავსებული შესყიდვის ხელშეკრულებების (SPA190005740) მომსახურება საინფორმაციო მომსახურების გაწევაზე, ტექნიკური დავალების შესაბამისად, არანაკლებ 5 სეგმენტობრივად შერჩეულ ფეისბუკ ჯგუფში მასალების გაზიარებას მოიცავდა.

მედია და ციფრული სააგენტო "კლიპ-არტი"ს გარდა ასევე, გამოვლინდა 3 მედია ორგანიზაცია (საინფორმაციო სააგენტოები  For.ge, Guardian.ge და Stv.ge), რომლებთანაც საბიუჯეტო ორგანიზაციების (ახალქალაქისა და ხობის მუნიციპალიტეტები, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, აიპი - ეროვნული სკრინინგ ცენტრი, სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრი „დელტა") მიერ

გაფორმებული კონტრაქტები დამკვეთისთვის ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, სხვადასხვა ფეისბუკ ჯგუფებსა და გვერდებზე სახელმწიფო უწყებების დაკვეთით მასალების გაზიარებას ითვალისწინებდა. ახალქალაქისა და ხობის მუნიციპალიტეტის კონტრაქტებში აღნიშნულია, რომ მედიების ოფიციალური ფეისბუკ გვერდების გარდა, მასალები უნდა განთავსებულიყო პოპულარულ პოლიტიკურ თუ სხვა ფეისბუკ ჯგუფებში, რომელთაც ჯამში 500 000-ზე მეტი წევრი ჰყავს.

**ცხრილი 2.3.** **2020 წელს საბიუჯეტო უწყებების მიერ ინფორმაციის ფეისბუკ ჯგუფებსა და გვერდებზე გაზიარების მომსახურებაზე გაფორმებული კონტრაქტები**

| კონტრაქტორი | საბიუჯეტო უწყება | კონტრაქტის ღირებულება ლარებში |
|---|---|---|
| კლიპ-არტი | საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია | 99 500 |
| Stv.ge სამეგრელოს მედია ორგანიზაცია | ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულსაგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი | 3 000 |
| For.ge | ეროვნული სკრინინგ ცენტრი | 2 200 |
| Guardian.ge შპს მეურვე | ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია | 4 900 |
| Guardian.ge შპს მეურვე | სსიპ სსსტც "დელტა" | 2 277 |

კონკრეტული ფეისბუკ გვერდები და ჯგუფები, თუ სად უნდა განეთავსებინათ მედიებს მასალები, მხოლოდ ააიპ ,,ეროვნული სკრინინგ ცენტრსა” და ააიპ ,,კავშირი პრესა-საქართველოს”(For.ge) შორის გაფორმებულ კონტრაქტებში იყო მითითებული. კერძოდ, For.ge-სთან გაფორმებული კონტრაქტი ითვალისწინებს მასალების განთავსებას 4 ფეისბუკ გვერდსა (Yellow Faqts, Tbilisi news, თავისუფლება, პოეზია Front news) და 2 ჯგუფში (პოზიტივი, For.Ge - საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი).

იმის დასადგენად, თუ რომელ ფეისბუკ ანგარიშებზე ხდებოდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება, მედიის განვითარების ფონდმა საჯარო ინფორმაცია კონტრაქტორი ორგანოებისგან გამოითხოვა. აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაცია მხოლოდ სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიეროტექნიკურ ცენტრი „დელტას“ და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიას არ მოუწოდებიათ. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიადან და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციით კი შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

- ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრსა და სამეგრელოს მედია ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, რომლის ღირებულებაც 3000 ლარს შეადგენს, სამეგრელოს მედია ორგანიზაცია STV.GE ინფორმაცა თავისივე ფეისბუკ გვერდზე და 4 ფეისბუკ ჯგუფში უნდა განეთავსებინა. ეს ჯგუფებია: კახა კალაძე თბილისის მერი, ეს საქართველოა, СУХУМИ, https://www.facebook.com/zugdidit/. 4-დან ერთი (კახა კალაძე თბილისის მერი) მმართველი პარტია **"ქართული ოცნების"** თბილისის მერის **მხარდამჭერია,** ხოლო 2 (ეს საქართველოა და СУХУМИ) დახურული ჯგუფია. აღსანიშნავია, რომ 2 დახურული ჯგუფიდან ერთი (ეს საქართველოა) პარტია **"პატრიოტთა ალიანსის" მხარდამჭერი** და ოპოზიციური პარტია **"ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგაა** მიმართული, სადაც პოსტებს სახელისუფლებო ექსპერტებიც ათავსებენ. 1 ჯგუფი კი (https://www.facebook.com/zugdidit/), რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის წერილშია მითითებული, ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა მედიის განვითარების ფონდის წინა ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მეწტილად მმართველი პარტია ქართული ოცნების მხარდამჭერ პოსტებს აზიარებდა[24].
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიასა და შპს ,,კლიპ არტს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ,,კლიპ არტს" კომისიის ინფორმაციების განთავსება 5 Facebook ჯგუფსა ("ეს საინტერესოა" - 36 200 წევრი; "გაიგე პირველმა" - 9 200 წევრი, "სასარგებლო რჩევები" - 18 500 წევრი "ყოველდღიური სიახლეები" - 19 300 წევრი; "ცნობისმოყვარე" - 45 300 წევრი) და 9 საინფორმაციო სააგენტოში (www. interpressnews.ge; www.pia.ge; www.info9.ge; www.kvira.ge: www.ipress.ge; www.for.ge: www.bm.ge; www.ambebi.ge; www.2020news.ge.) ევალებოდა. აღსანიშნავია, რომ 5 ფეისბუკ ჯგუფი, თავად "კლიპ არტს" და მის მედია საშუალება digestpia.ge-ს უკავშირდება და ამ გამოცემის მასალებს აზიარებს.

[24] მედიის განვითარების ფონდი, 2020. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2019. გვ. 31
http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/187

**ცხრილი 2.4.** ფეისბუკ ჯგუფები, გვერდები და საინფორმაციო სააგენტოები, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციების ინფორმაციის გაზიარების/გავრცელება ხდებოდა

| ადმინისტრაციული ორგანო | მედია/შუამავალი კომპანია | საინფორმაციო სააგენტოები | სხვადასხვა თემატური Facebook გვერდები | Facebook ჯგუფები |
|---|---|---|---|---|
| ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი | სამეგრელოს მედია ორგანიზაცია STV | | 1. STV.ge | 1. ეს საქართველოა (დახურული)<br>1. კახა კალაძე თბილისის მერი<br>2. СУХУМИ (დახურული)<br>3. https://www.facebook.com/zugdidit/ (წაშლილია) |
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია | კლიპ-არტი | 1. interpressnews.ge<br>2. pia.ge<br>3. info9.ge<br>4. kvira.ge<br>5. ipress.ge<br>6. for.ge<br>7. bm.ge<br>8. ambebi.ge<br>9. 2020news.ge. | | 1. ეს საინტერესოა<br>2. ყოველდღიური სიახლეები<br>3. სასარგებლო რჩევები<br>4. გაიგე პირველმა<br>5. ცნობისმოყვარე |
| ეროვნული სკრინინგ ცენტრი | For.ge | | 1. Yellow Faqts,<br>2. Tbilisi news,<br>3. თავისუფლება,<br>4. პოეზია Front news | 1. პოზიტივი,<br>2. For.Ge - საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი |

Stv.ge- სამეგრელოს მედია ორგანიზაციამ (Stv.ge)[25] 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ჯამში 9 990 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, 2019 წელს ეს თანხა 17 150 ლარს, 2018 წელს კი -10 650 ლარს შეადგენდა. გამოცემის ვებ-გვერდზე მმართველი პარტიის ზუგდიდის მერობის კანდიდატის მამუკა წოწორიას და ფოთის მერობის კანდიდატის ბექა ვაჭარაძის საარჩევნო ბანერებია განთავსებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სააგენტოში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას მმართველო პარტიაც ახდენს.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, რომელზეც წინა ანგარიშში იყო საუბარი[26] STV.ge პოზიტიურად მხოლოდ მმართველი პარტია "ქართული ოცნების" კანდიდატებს აშუქებდა, ხოლო სამეგრელოში ოპოზიციის კანდიდატების საარჩევნო კამპანიას ან საერთოდ არ აშუქებდა, ან ნეგატიურად.

[25] ამონაწერისაჯარო რეესტრიდან https://bit.ly/3gtZ0PP
[26] მედიის განვითარების ფონდი, 2020. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2019. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/187

**ცხრილი 2.5.** **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციის კანდიდატების ნეგატიურად გაშუქების მაგალითები**

| **პარტია/კანდიდატი** | **პუბლიკაცია** |
|---|---|
| საქართველოსთვის<br><br>ზუგდიდი - გიორგი შენგელია | მოქალაქეები გიორგი შენგელიას ხალხის მოღალატეს, უპრინციპოს და პლაგიატს უწოდებენ<br><br>იცნობენ თუ არა ჩხოროწყუში მერობის კანდიდატს და არის თუ არა ის ჩხოროწყუს მკვიდრი?<br>გახარიას პარტიიდან წასული ყოფილი კანდიდატი ოპოზიციას: პოლიტიკის ბინძური ხელებით ფათური, მინიმუმ, უზნეობაა<br> |
| ენმ<br><br>ზუგდიდი - ანზორ მელია | კიდევ ერთი სკანდალი ზუგდიდის ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატის ირგვლივ<br>საარჩევნოდ საკითხავი ბლოგი – ოჯახის როლი "ნაცების" ზუგდიდურ |

<table>
<tr>
<td>ფოთი - გიგი უგულავა</td>
<td>

[პოლიტიკაში]

[წინასაარჩევნო ბლოგი – პოლიტიკური ტურიზმი]







</td>
</tr>
</table>

სხვა სახელისუფლებო მედიებთან ერთად, STV.ge ასევე აქტიურად იყო ჩართული ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას პარტია “საქართველოსთვის” საწინააღმდეგო კამპანიაში, როდესაც პარტიის დატოვების შესახებ ინფორმაცია კოორდინირებულად და იდენტური შინაარსით ვრცელდებოდა.

სამეგრელოს საინფორმაციო სააგენტო STV.ge-ს უკავშირდება ასევე რამდენი ფეისბუკ ანგარიში, რომელიც ამავე გამოცემის მასალებს სხვადასხვა პლატფორმით აზიარებს. ესენია:

| | |
|---|---|
| ფეისბუკ გვერდი<br>Region News<br>2772 გამომწერი | <br> |
| ინდივიდუალური ანგარიში<br>რეგიონი დღეს | <br> |
| ფეისბუკ ჯგუფი<br>მთავარი სამეგრელოში<br>ჯგუფის ადმინისტრატორი STV.ge-ს რედაქტორი და დამფუძნებელი მალხაზ ბასილაიაა | <br> |

როგორც ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, სამეგრელოს საინფორმაციო პორტალს თბილისის მერის კახი კალაძის მხარდამჭერი ფეისბუკ ჯგუფის გარდა, ინფორმაციის განთავსება 2 დახურულ ჯგუფში ევალება. დახურული ჯგუფებიდან მოპოვებული ინფორმაციით, ამ 2 ჯგუფიდან ერთში (СУХУМИ) განსხვავებული პოლიტიკური შინაარსის პოსტების გაზიარება ხდება, მეორე ჯგუფის (ეს საქართველოა) შემთხვევაში კი განსხვავებული სურათი იკვეთება და ჩანს, რომ ის ერთი მხრივ, “პატრიოტთა ალიანსის” მხარდაჭერებთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ კი მმართველი პარტიასთან და მისი ოპონენტების წინააღმდეგ.

ეს საქართველოა. "ეს საქართველოა", რომელშიც stv.ge-ს ინფორმაციის განთავსება ევალება, დახურული ფეისბუკ ჯგუფია, სადაც 3700 ადამიანია გაწევრიანებული. ჯგუფი, სავარაუდოდ, პატრიოტთა ალიანსს უკავშირდება, ამასთანავე მასში ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო და მმართველი პარტიის სახელისუფლებო ექსპერტების პოსტები ვრცელდება.

პარტია "პატრიოტთა ალიანსთან" ჯგუფის კავშირებზე შემდეგი გარემოებები მიუთითებს: როგორც წინა ანგარიშში[27] იყო აღნიშნული, 2019 წელს ჯგუფის გარეკანზე "პატრიოტთა ალიანსის" საპროტესტო აქციის ფოტო იყო დაყენებული, ხოლო ჯგუფის ადმინისტრატორები Qeti Vadachkoria, დარე შენგელია და Mia Darchiaa არიან, რომელთაგან ერთ-ერთი, დარე შენგელია საკუთარ ფეისბუკ გვერდზე პატრიოტთა ალიანსის და მასთან დაკავშირებული ტვ "ობიექტივის" პოსტებს ხშირად აზიარებს, ხოლო ქეთი ვადაჭკორიას ფეისბუკის ანგარიშზე გამოქვეყნებული აქვს ფოტო, რომელზეც "პატრიოტთა ალიანსის" აქციაზე მის ყოფნას ასახავს.




---

[27] მედიის განვითარების ფონდი, 2020. მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2019. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/187







დახურულ ჯგუფში “ეს საქართველოა” “ნაციონალური მოძრაობის” საწინააღმდეგო პოსტები აქტიურად ზიარდება, მათ შორის შემდეგი ჰაშთაგებით: “#არამიშას, #არაგრიშას, #არასააკაშვილისრეჟიმს, #არანაცებს.




ეს საქართველოა
Qeti Vadachkoria shared a post.
Admin · 23 September at 04:40
რაც მიშას უნდა
მიხეილ მრავალშვილიანი🤣🤣🤣
0:01 / 2:38
მიხეილ უკრაინოლოგი
22 September at 11:23
მიხეილ მრავალშვილიანი


ეს საქართველოა
Png Primenewsgeorgia shared a link.
21 September at 06:02
ამ ბილბორდებს შევხედავთ, შეგვზარავს და ვიტყვით, რომ ეს აღარასდროს უნდა დავაბრუნოთ - წულუკიანი
ნაცებს! არა ბოროტებას! არა ღალატს!
PRIMENEWSGEORGIA.GE
ამ ბილბორდებს შევხედავთ, შეგვზარავს და ვიტყვით, რომ ეს აღარასდროს უნდა დავაბრუნო...
2


Qeti Vadachkoria shared a link.
Admin · 4h
"ანზორა მელია, სვავო იცი რა გააკეთა ბიძინამ?"
2019 წლის სტატიაა მაგრამ დღესაც ზედ გაკვდებათ ნაცებო!!!
EXCLUSIVENEWS.GE
"ანზორა მელია, სვავო იცი რა გააკეთა ბიძინამ?" – EXCLUSIVENEWS.GE
Like
Comment


ეს საქართველოა
Ghia Abashidze shared a post.
14h
კვირის ბოლო
POSTV - ანალიტიკა
14h
კვირის ბოლო - ნაცსექტის სიყალბე საქართველოს პარტნიორებზე
ავტორი: Ghia Abashidze

აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო ექსპერტი გია აბაშიძე ამ ჯგუფში სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის ონლაინ გამოცემების marshalpress.ge-ის და reportioro.ge-ის მასალებს აქტიურად აზიარებს.







კლიპ არტი და სააგენტო PIA. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შპს კლიპ არტსა და კომისიას შორის 99 500 ლარის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება, ინფორმაციის 9 საინფორმაციო სააგენტოსა და 5 ფეისბუქ ჯგუფში განთავსებას ითვალისწინებდა. ფეისბუქ ჯგუფები, სადაც მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციის განთავსება ხდება, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და diagestpia-ს იდენტურ მასალებს ერთი და იმავე სეგმენტის აუდიტორიაში ავრცელებენ. 5 ფეისბუქ ჯგუფიდან 4-ის (გაიგე პირველმა, სასარგებლო რჩევები, ყოველდღიური სიახლეები, ეს საინტერესოა) მფლობელი ფეისბუქ გვერდი Gogaggg-ია, რომელსაც ჩვენს შესახებ განყოფილებაში www.digest.pia.ge-ს ვებ-გვერდი და სააგენტო პიას ელექტრონული მისამართი აქვს მითითებული. მეხუთე ჯგუფი ცნობისმოყვარე კი Gogaggg-თან დაკავშირებული ჯგუფების ჩამონათვალში გვხვდება და მის ადმინისტრატორებსა და მოდერატორებს შორის digestpia, ასევე funtime.ge ფიგურირებს, რომელიც კლიპ არტის მიერ შექმნილი გვერდია.


Group by Gogaggg
გაიგე პირველმა
Public group · 9.2K members


Group by Gogaggg
სასარგებლო რჩევები
Public group · 18.5K members


Group by Gogaggg
ყოველდღიური სიახლეები
Public group · 19.3K members


Group by Gogaggg
ეს საინტერესოა
Public group · 36.2K members


Gogaggg
@newscornerpage · Broadcasting & media production company
Learn More
digest.pia.ge
Home
About
Photos
Videos
More
Like
Message
Linked groups
FunTime
18K members • 20 posts a day
Ana Gugunava and 14 friends are members
Join Group
ეს საინტერესოა
36K members • 30 posts a day
Join Group
გაიგე პირველმა
9.2K members • 40 posts a day
Join Group
Gogaggg
116 members • 8 posts a month
Join Group
სასარგებლო რჩევები
18K members • 30 posts a day
Join Group
ყოველდღიური სიახლეები
19K members • 30 posts a day
Join Group
ცნობისმოყვარე
45K members • 40 posts a day
Join Group

აღსანიშნავია, რომ ხუთივე ფეისბუკ ჯგუფში ძირითადად სააგენტო Digestpia-ს მასალები ზიარდება. Digestpia კი “კლიპ არტთან[28]” დაკავშირებული მედია საშუალებაა და სააგენტო PIA-სთან ერთად სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკას ატარებს[29]. შინაარსობრივად მრავალფეროვან და დივერსიფიცირებულ მასალებში ხშირად მმართველი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციები გვხვდება, რისი ერთ-ერთი ილუსტრირებაც ქვემოთ მოყვანილი სათაურებია ახლადშექმნილი პარტია “საქართველოსთვის” ლიდერის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას წინააღმდეგ[30]:

- “გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს”,
- “ექიმი, რომელმაც გახარიას მტკიცებით, ნარკოტესტი ჩაუტარა, ვენაში დეპრესიის, გადაღლილობის, დემენციის და მეხსიერების გაფანტვის მიმართულებით მუშაობს - POSTV”
- “ზაალ ანჯაფარიძე გიორგი გახარიაზე: როდესაც ბიძინა ივანიშვილმა რიგითი გიორგი გახარია იმ სიმაღლეებამდე აიყვანა, რომელსაც ალბათ ვერცერთ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, გუშინ გავიგეთ, რომ ივანიშვილმა ნდობა არ გაუმართლა მას”
- “თამთა მეგრელიშვილი გიორგი გახარიაზე: სამარცხვინოა! ივანიშვილმა „კაცი“ არაფრიდან გაქცია კაცად და თავაწეული ამბობ „ბიძინა ივანიშვილმა ნდობა არ გაამართლაო“
- „ბატონო გახარია, პარტიაში დუქნის კონტინგენტით შორს ვერ გაფრინდებით…“ - იუნა შაფათავა

---

[28] კლიპ არტის 100%-იანი წილის მფლობელი ნათია ორველაშვილი სააგენტო PIA-ს დამფუძნებლის დიმიტრი ტიკარაძის მეუღლეა
https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFO0pt9TL3N]iRTTIKqcsClW6cbMTXhFmq06J5TfYj1oU
http://mediameter.ge/ge/media-profiles/pia
[29] მითების დეტექტორი, 15 სექტემბერი, 2021. სახელისუფლებო მედია “საქართველოსთვის” და გახარიას წინააღმდეგ სახელისუფლებო მედია “საქართველოსთვის” და გახარიას წინააღმდეგ
http://mythdetector.ge/ka/myth/sakhelisuplebo-media-sakartvelostvis-da-gakharias-cinaaghmdeg
[30] Digestpia-ს მასალები პარტია “საქარელოსთვის” ლიდერის გიორგი გახარიას წინააღმდეგ
https://bit.ly/3i7oQg7













აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ ინფორმაცია გახარიას პარტიის წევრის მიერ სპილენძის ქვაბის ქურდობაზე კოორდინირებულად არა მხოლოდ კლიპ-არტთან და daigestpia-სთან დაკავშირებულ ფეისბუკ გვერდებზე გავრცელდა, არამედ სხვა სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის პლატფორმებზე.

| მარშალპრესი (mpn.ge) | reportiori.ge | exclusivenews.ge | pia.ge | For.ge |
|---|---|---|---|---|
| გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს | გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს | გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს | გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს | გახარიას პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სპილენძის ქვაბის ქურდობისთვის დააკავეს |

For.ge. საინფორმაციო სააგენტო For.ge-სთან 2020 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა სულ 12160 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმეს. მათ შორის იყო ეროვნული სკრინინგ ცენტრი, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ინფორმაციის გავრცელებაზე, diagestpia-ს მსგავსად, თავად For.ge-ს ფეისბუკ ანგარიშებს უკავშირდება. ოთხივე გვერდი (Yellow Faqts, Tbilisi news, თავისუფლება, პოეზია Front news) და ორივე ჯგუფი (პოზიტივი, For.Ge-საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი), სადაც ინფორმაციის განთავსების ვალდებულება არსებობს, თავად სააგენტო For.ge-სთან არის დაკავშირებული, რადგან ჩვენს შესახებ განყოფილებაში მისამართად ყველას www.for.ge აქვს მითითებული; ხოლო ჯგუფებს “For.Ge - საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი” და “პოზიტივი” For.ge-ს დამფუძნებელი და რედაქტორი როზი ჟღამაია და for.ge-ს მართული ზემოთ ჩამოთვლილი 4 გვერდი მართავს.









სააგენტოს დამფუძნებლებმა და გამგეობის წევრმა  როზეტა ჯღამაიძ და გიორგი იაკობაშვილმა [31] ია მეტრეველთან და იოსებ მანჯავიძესთან ერთად 2020 წლის 7 აგვისტოს არასამთავრობო ორგანიზაცია ააიპ ,,დავასრულოთ" დაარსეს, რომლის მიზანიც ნაციონალური მოძრაობის დასრულებაა[32].

## 2.6. საბიუჯეტო კონტრაქტები ანტიდასავლურ, დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის გამავრცელებელ მედიებთან

2020 წლის მონაცემების შესწავლამ ცხადყო, რომ წინა წლების მსგავსად, ადმინისტრაციული ორგანოები ინფორმაციის გავრცელებისა და რეკლამის განთავსების მიზნით საინფორმაციო საშუალებების  შერჩევისას მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმებით არ მოქმედებდნენ[33]. შერჩევა  ყოველთვის არ ეფუძნებოდა აუდიტორიის კვლევას და სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებს. ამასთანავე არ იყო გათვალისწინებული ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც  რასიზმისა და შეუწყ-ნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) #7 რეკომენდაციითაა[34] განსაზღვრული და ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს დაფინანსების დროს ანტიდისკრიმინაციული მიდგომების გათვალისწინებას ურჩევს.

2014-2019 წლების პრაქტიკის მსგავსად, 2020 წელსაც გამოიკვეთა რამდენიმე მედია საშუალება, რომელთა ნაწილი ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკით, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის ტირაჟირებით გამოირჩევა და რომელთანაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს ინფორმაციის გავრცელებასა და რეკლამაზე სერვის კონტრაქტები ჰქონდათ  გაფორმებული. ამ გამოცემებს შორის არიან სააგენტო "რეპორტიორი" და ქართული გაზეთი", გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", სააგენტოები "მარშალპრესი" და "სივრცეები". ანტიდასავლურ გზავნილებთან ერთად, 2020 წელს გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" დამატებით კორონავირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით კონსპირაციებს და დეზინფორმაციას ავრცელებდა.

### ცხრილი 2.10. საბიუჯეტო კონტრაქტები ანტიდასავლურ, დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის გამავრცელებელ მედიებთან

| მედია საშუალება | საკონტრაქტო მომსახურების თანხა | საბიუჯეტო ორგანიზაცია |
|---|---|---|
| რეპორტიორი (qartuliazri.ge, cnobisfurceli.ge[35]) | 38 501 | სპეციალური პენიტენციური სამსახური,ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა, ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, თვითმმართველი ერთეული საჩხერის მუნიციპალიტეტი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია, შპს "ლიკანის რეზიდენცია" და სხვა საქვეუწყებო ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები; |

[31] ამონაწერი საჯარო რეესტრიდან https://bit.ly/2YEmCLG
[32] https://formulanews.ge/News/35102
[33] MDF(2016), რეკლამის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო რესურსების განაწილების პრაქტიკა. http://mediameter.ge/sites/default/files/mdf_ti_1.pdf
[34] პარაგრაფი 9, გვ. 6, პარაგრაფი 16, გვ.7 https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-7-revised-on-national-legislatio/16808b5aae
[35] cnobisfurceli.ge მითითებულია სასჯელაღსრულების სამინისტროს კონტრაქტში რეპორტიორთან და ქართულ აზრთან ერთად, თუმცა გვერდი ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის.

| | | |
|---|---|---|
| გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” | 38 008 | გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო,აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,"საქპატენტი”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, "სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ", სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, სსიპ "რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი"; |
| სააგენტო მარშალპრესი | 21 808 | ხელვაჩაურის, ამბროლაურის, დედოფლისწყაროს, ადიგენის , ახმეტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება , ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი, ჩემი ადვოკატი; |
| სივრცეები www.spnews.io | 14 450 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ჭიათურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები, ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კოპლექსი, ადიგენის კულტურის ცენტრი, ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კოპლექსი; |

საქართველოს რესპუბლიკა. პანდემიის პერიოდში გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში[36]”აქტიურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა კონსპირაცია კორონავირუსის წარმომავლობის და ვაქცინაციის შესახებ, მათ შორის ბილ გეიტსისა და ჩიპიზაციის, დეპოპულაციისა და ვაქცინებით მასების დამორჩილების შესახებ, შემდეგი სათაურებით:

- “ბაქტერიოლოგიური ომი ამერიკამ დაიწყო?![37]”
- “ახალი სიკვდილი საჩუქრად მსოფლიოს ხალხებს![38]” რუბრიკით “ბიოლოგიური ომის პირისპირ”.

---

[36] ყოველკვირეული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც 1918 წელს დაარსდა, საბჭოთა პერიოდში სახელწოდებებით „კომუნისტი“ გამოიცემოდა.
[37] “საქართველოს რესპუბლიკა”#48, 17-18 მარტი, 2020
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/318644/1/Saqartvelos_Respublika_2020_N48.pdf
[38] “საქართველოს რესპუბლიკა”#59, 30 აპრილი, 2020
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/318822/1/Saqartvelos_Respublika_2020_N59.pdf



„ეს ხმაური არ არის შემთხვევითი, თორემ თვითონ ვირუსი შეიძლება, შემთხვევითია...“

შეშლილი მსოფლიო

ბაქტერიოლოგიური ომი ამერიკამ დაიწყო?!



ბიოლოგიური ომის პირისპირ

ახალი სიკვდილი საჩუქრად მსოფლიოს ხალხებს!

გამოცემის ფურცლებზე ასევე ვხვდებით სასულიერო პირის პუბლიკაციას, რომელიც ამერიკის მიმართ უნდობლობის გაღვივებას რიჩარდ ლუგარის კვლევითი ცენტრის კონტექსტში ახდენდა, რომელიც დაავადებების პრევენციაზეა ორიენტირებული და ამ დროს ორ სახელმწიფოს შორის მორალურ შეუთავსებლობაზე საუბრობდა:

> **ბერდიაკონი გიორგი რუხაძე:** “დაბოლოს, თუ ამერიკელების მიერ საქართველოში ამოქმედებული **ლუგარის ლაბორატორია** არის ერთადერთი დაწესებულება Covid-19-ის ანალიზის ჩასატარებლად, მაშინ რა გამოდის: აქამდე ინფექციის, მით უმეტეს გრიპის ნაირსახეობის, დიაგნოზს ჩვენთან ვერ ადგენდნენ? - არავის უნდა გაუკვირდეს ეჭვების გაჩენა ამ ე.წ. მეგობარი ქვეყნის მიმართ, რადგან იდეოლოგიური თვალსაზრისით უკვე საკმაოდ დიდი მასალა დაგროვდა, რომელიც **ჩვენს სახელმწიფოებს შორის მორალურ შეუთავსებლობაზე მეტყველებს.** ამიტომ მედიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რომელიმე თვალსაზრისის მხარდასაჭერად **აშშ-ის ავტორიტეტით სარგებლობა მიზანშეწონილი არ არის**[39]”.

“საქართველოს რესპუბლიკის” გვერდებზე ასევე კეთდებოდა ჰომოფობიური სარედაქციო და საავტორო განცხადებები:

- “იყავი შენთვის, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი კურტუმო. ოღონდ საქვეყნოდ კურტომოების გამოფენას ნუ გვიწყობთ[40]”.

---

[39] “საქართველოს რესპუბლიკა”#70, 8 ივნისი, 2020 “ვაქცინა რელიგიაში შეჭრილი იფექციის წინაამდეგ”. გვ.6 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/318933/1/Saqartvelos_Respublika_2020_N70.pdf

[40] “საქართველოს რესპუბლიკა”#149-150, 7-8 ივლისი, 2021. “ქართული ზნეობისა და ტრადიციების წამბილწველნი”. გვ.2 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336745/1/Saqartvelos_Respublika_2021_N149-150.pdf

- “საქართველოში მოქმედ კანონს სოდომის ცოდვასთან დაკავშირებით შარს ვერ მოდებთ[41]”.
- “ომი ლიბერასტებსა და ქართველ ხალხს შორის[42]”

ამასთანავე საპატრიარქოს განცხადებას, სადაც საუბარი იყო, რომ მათთვის მიუღებელია 2021 წლის 5 ივლისის თბილისი პრაიდთან დაკავშირებულ მოვლენებში ზოგიერთი საელჩოს და ევროპარლამენტარის ჩარევა, ახლდა ფოტო, რომლის ბანერზე საქართველოდან ამერიკის ელჩის, როგორც ლგბტ აგრესორის, გაძევების მოთხოვნა ეწერა[43].










---

41 იქვე. გვ. 4.

42 “საქართველოს რესპუბლიკა”#71, 10 ივნისი, 2020. გვ.1 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/319058/1/Saqartvelos_Respublika_2020_N71.pdf

43 “საქართველოს რესპუბლიკა”#147-148, 5-6 ივლისი, 2021. გვ.3 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336742/1/Saqartvelos_Respublika_2021_N147-148.pdf



უზნეოთა შემოსევა...

№ 149-150. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 7-8 ივლისი, 2021 წელი.

ერის დემოკრატიულ სულისკვეთებას სარწმუნოება ასაზრდოებს

საქართველო არის ტრადიციულად დემოკრატიული ქვეყანა. საქართველოსა და ქართველ ერში არსებობს საზოგადოების ყველა წევრისთვის პირადი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის აუცილებლობის ცნობიერება, რაც სამოქალაქო საზოგადოებისთვის მკვიდრი მორალური საფუძველია.



მეცნიერულად გაუშუქებელ ანუ შემეცნების თანამედროვე დონეზე დაუსაბუთებელ რეკომენდაციებს პრაქტიკული ყოველდღიურობისთვის კაცობრიობის გონებრივი ელიტა არც ღებულობს და, მაქსიმალური ალბათობით, არც ოდესმე მიიღებს. ამიტომაც ის იმ ქვეყნებშიც ვერ გახდა საერთო ღირებულება და ყველგან დარჩა, როგორც ნაწილის ან პიროვნებათა ჯგუფის (შეიძლება ძალიან ცნობილის) ხედვად...

ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ პრობლემას ქმნის ხელისუფლების უმოქმედობა ღიად და ფარულად სტიმულირებული და მოსყიდული მცირე ჯგუფების აგრესიული შეტევის ფონზე. საქართველოს მმართველნი, „პრივილეგირებული“ მედიისა და ე.წ. „არასამთავრობო სექტორის“ ნაწილის აქტიურობას მაქსიმალურად იყენებს იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოების ყურადღება არსებითი სახელმწიფო-

საქართველოში მოქმედ კანონს სოდომის ცოდვასთან დაკავშირებით შარს ვერ მოსდებთ!

სხვა გამოცემების სარედაქციო პოლიტიკა პრობლემურია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ონლაინ გამოცემები "ქართული აზრი" და "რეპორტიორი" დეზინფორმაციების, კორონავირუსთან და 5G ანტენებთან დაკავშირებული კონსპირაციების გავრცელებით, ასევე ხელისუფლების ოპონენტების დისკრედიტაციით გამოირჩევიან[44];
2. მარშალპრესი როგორც ტვ პირველის გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას[45], ასევე ხელისუფლების ოპონენტების დისკრედიტაციის კამპანიებშია ჩართული[46]. გამოცემა ასევე კორონავირუსზე და სხვა თემებზე დეზინფორმაციის ხშირი წყაროა[47].
3. ონლაინ გამოცემა "სივრცეების" (www.spnews.io) სარედაქციო პოლიტიკა ჰიბრიდულია. ხელისუფლების მიმართ მხარდამჭერი საინფორმაციო პოლიტიკის გარდა[48], სააგენტოს ვიდეო-გადაცემის წამყვანად კრემლთან დაკავშირებული მედია პროექტის "პოლიტიკანოს" ავტორი ჰყავს, ხოლო გარკვეული პუბლიკაციები ანტიდასავლურია, ამავე დროს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მიმართ სენტიმენტების გაღვივებას უწყობს ხელს[49].

---

[44] მითების დეტექტორი, 14 აპრილი, 2020. არის თუ არა 5G საფრთხე და უკავშირდება თუ არა ეს ტექნოლოგია COVID-19-ს? https://bit.ly/3klpQJt 5 მაისი, 2020. სახელისუფლებო და ანტილიბერალური ჯგუფების ორგანიზებული კამპანია რესპუბლიკელების წინააღმდეგ https://bit.ly/3kGN7eM

[45] მითების დეტექტორი, 13 ივლისი, 2021. "საინფორმაციო სააგენტოს" სახელით და ძალადობრივი ჯგუფების მუშტით TV პირველის გარდაცვლილი ოპერატორის წინააღმდეგ https://bit.ly/2XUqsTV 22 ივლისი, 2021. "საინფორმაციო ბლოგი" ლექსო ლაშქარავას ფოტოზე ყალბ ინფორმაციას ავრცელებს https://bit.ly/3o9VhyD

[46] მითების დეტექტორი, 14 ოქტომბერი, 2020. რურუას სახელით შექმნილ ყალბ გვერდს სახელისუფლებო გვერდები ორგანიზებულად ავრცელებენ https://bit.ly/3lZTB86

[47] http://mythdetector.ge/ka/profile/marshalpresi

[48] მითების დეტექტორი, 13 ივლისი, 2021. "საინფორმაციო სააგენტოს" სახელით და ძალადობრივი ჯგუფების მუშტით TV პირველის გარდაცვლილი ოპერატორის წინააღმდეგ https://bit.ly/2XUqsTV

[49] მითების დეტექტორი, 2 ივლისი, 2021. პრორუსული და სახელისუფლებო ექსპერტების "სივრცეები" დაფინანსებულია ბიუჯეტიდან http://mythdetector.ge/ka/myth/prorusuli-da-sakhelisuplebo-ekspertebis-sivrtseebi-dapinansebulia-biujetidan